დათო ბარბაქაძე

შედეგები

ტომი V

მერწყული

დათო ბარბაქაძე

შედეგები

ტომი V

მრავალტომეულის ცალკეულ წიგნთა
პირველი - ელექტრონული - გამოცემა
სახელწოდებით შედეგები
განხორციელდა 2012 წელს.

გამომცემლობა *მერწყული*
თბილისი 2014

ISBN: 978-9941-0-7001-3 (ყველა ტომის)
ISBN: 978-9941-0-7113-3 (მეხუთე ტომის)

დათო ბახბაქაძე

მიმოწეის ლიტერატურა

დავით ჩიხლაძე, დათო ბახბაქაძე

დ/დ
პიესა ლექსად

პირველი ნაწილი

[17.02.2003]

დათო, დაახლოებით ერთი წლის წინ მწერდი: "*მაღაზიებში ერთი წიგნიც ვერ მიყიდია! უკვე მეორედ მოხდა. სტერილური მეჩვენება ეს ყველაფერი: დერიდაც, კრისტევაც, და მრავალი სხვა. კინაღამ ბოდრიარის წიგნი Impossible Exchange გადავაგდე (რა ბედიც ეწია ცოტა ხნის წინ კრისტევას, რობერტ ანტონ ვილსონს, კროვლეის, ჰაკიმ ბეის), ამ ყველაფერს მაქსიმ გორკის და მარკიზ დე სადის წაკითხვა ნამდვილად მირჩევნია. თეატრში, მხატვრობაში, ლიტერატურაში არაფერი ხდება, ყველაფერი სტერილურია!!*" ამდენი ხნის მერე მინდა გკითხო ის, რაზეც ხშირად ვფიქრობ ხოლმე: ეს ტექსტებია სტერილური თუ - კონტექსტი? იყო დრო, როცა ეს ტექსტები არ იყო სტერილური თუ შენ და დღეს გეჩვენება ასე? კონტექსტი ხომ ხშირად დამანგრევლად მოქმედებს ტექსტზე, უფრო სწორად, ტექსტის ცხოვრების ამა თუ იმ მონაკვეთზე?

[18.02.2003]

არსებობს ასეთი ნაცნობი შკალა: აპოლონური და დიონისური. მე იმის თქმა მინდოდა რომ ბოლო დროს თვალშისაცემია აპოლონურის უპირატესობა. ეს ტექსტები, რასაც მე ვასახელებ, ალისტერ კროულის გამოკლებით, თანამედროვე ტექსტებია, ასე ვთქვათ გუშინ არის დაწერილი, მე ეხლა სონტაგის "დუმილის ესთეტიკის" ძებნას არც დავიწყებდი. და ამ ახალ წიგნებში იგრძნობა, როგორც გელა კინწურაშვილი ამბობს, პენსიონერული სული, მე დავამატებდი, გასხივოსნებულ-პენსიონერული.

გასხივოსნება და დეპრესია კი სხვა პლასტია. გასხივოსნება არც აპოლონურ და არც დიონისურ ტიპთა ავტომატური საკუთრება არ არის. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ აპოლონურ ტიპებს პრეტენზია აქვთ მის ფლობაზე, ან მისკენ უეჭველ სვლაზე, მაშინ როცა დიონისურ ტიპებს ასეთი ილუზიები არ აწუხებთ.

ნიუ ეიჯმა მოსაბეზრებელი გახადა ყოველგვარი გადარჩენის მოდელები, და მას ეს დამსახურება არ უნდა დავუკარგოთ. მდგარ წყალში დრაკონები

განსხვავდება. ასეთი აღიარებული და გამოღეჭილი ტექსტები ყოველთვის შეიცავენ რაღაც ისეთს, რასაც ასიათასი თვალი ვერ ხედავს. ჩემი აზრით, დიალოგის მოთხოვნილება სწორედ ამ შეუმჩნეველს აგნებს (ესაა სწორედ დიალოგი ბერძნული გაგებით; ესაა ორმხრივი საუბარი, როცა ტექსტის ავტორთან ცოცხალი კომუნიკაცია მყარდება და ამ დროს მნიშვნელობას კარგავს თუნდაც ის ფაქტი, რომ ავტორს შეიძლება არც აინტერესებდეს ჩვენი პასუხი; თუმცა ამ ცნების – "კომუნიკაცია" – გამოყენებას თავს ვარიდებ ხოლმე და უპირატესობას ვანიჭებ "გაგებას"). მხოლოდ ასე ცოცხლობენ ათი თუ ასი წლის წინ შექმნილი ტექსტები და არა – საუნივერსიტეტო პროგრამებში და აუდიტორიებში (თუმცა, რაკი ღმერთი მათ ასეთ უსიცოცხლო სივრცეში გზავნის, ამასაც უნდა ჰქონდეს თავისი გამართლება, უნივერსიტეტის კედლებშიც მოიპოვებიან ცოცხალი ადამიანები). თუ პროგრესი და სხვა მსგავსი მაღალი ცნებები და იდეალები ფიქციაა, სხვაგან სად ხდება ამ უბადრუკობის ხმამაღალი დაცინვა, თუ არა – მწერლობასა და ფილოსოფიაში, სადაც ლაო ძის, პლატონის და პასტერნაკის ტექსტები ერთ არაპროგრესულ დროშო არსებობენ? (და ეს, რა თქმა უნდა, არა ისეთ იაფფასიან ბაზისზე, როცა, მაგალითად, პირველ საუკუნეში წარმოთქმულმა "ღმერთი დიადია" და მე-15 საუკუნეში წარმოთქმულმა "ღმერთი დიადია" უნდა დაასაბუთოს(!) დიადი ჰარმონიის არსებობა).

ჰარმონია კი, ალბათ, ღმერთის კომპეტენციაა და როცა ვინმე მართლა წერს ან ხატავს (ანუ როცა, შენი თქმისა არ იყოს, მისთვის მარცხის გზა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე – საკუთრების), ის თავს არასდროს იტყუებს. ვინც ქმნის, იმან იცის, რომ ჰარმონიამდე შორია (და ამ დროს ზუსტად თანაბარ პირობებში ვართ ჩაყენებული ნებისმიერი არისტოკრატი ვოლტერი, რომელიც ეკონომიკურად უზრუნველყოფილი იყო და მისი ფიზიკური მუშაობა კალმით წერაზე შორს არ მიდიოდა და – მე, რომელსაც ზოგჯერ კვირაში 40 საათი ფიზიკური მუშაობა, ჭუჭყის, მტვრის და სიმძიმეების ატანა, კიბოს გამომწვევ ნივთიერებებთან შეხება მიწევს, რომ შემოქმედებისთვის დღეში რამდენიმე საათი მოვიპოვო). ყოველ შემთხვევაში, თუ დიალოგი და კომუნიკაცია ძვირფასია, ის არ კარგავს არც იმათ ტექსტებს, ვისაც ჰარმონიის ეიმედება და არც – იმათსას, ვინც ასეთ ჰარმონიას სკეპტიკურად უყურებს. ერთადერთი, რაშიც, ალბათ, ეჭვი არასრდოს შემეპარება, არის ჩარლი ჩაპლინის სიტყვები, რომ ღმერთი ფრთებს არ მოგცემს, თუ ფეხები არ მოგამტვრია. და, მე მგონია, აქ უკვე მნიშვნელობა ეკარგება იმას, ამ ფრთებით ცაში ახვალ თუ უფსკრულში ჩაეშვები, ორივე გზა ერთია.

ეს, ალბათ, გარკვეული თვალსაზრისით, სწორედ ჰარმონიისკენ მარცხის და არა პირადი საკუთრების გზით სვლასაც უნდა ნიშნავდეს. მიუხედავად იმისა, რომ შენი პათოსი ჩემთვის შინაგანად ახლობელია, ყოველივე დიონისურის მაქსიმალურ გამოვლენას ყოველთვის ავადმყოფური ეჭვით ვუყურებ. ასეთი გამოვლინებები ყოველთვის კარგავენ დიონისურს, როცა ამას გადარჩენა (თუნდაც პოლიტიკური) მოითხოვს (აი, გადარჩენის ეს სტრატეგია კი ხელოვნებისთვის ზურგისშექცევა მგონია და მეტი არაფერი). ჩვენს დროში, როცა თვით სტაგნაციამაც შეიძლება სტაგნაცია განიცადოს, თუ ამას რომელიმე ფულით-ძლიერი მექანიზმი მოინდომებს, ჰარმონიისკენ ყველაზე სერიოზული სწრაფვებიც კი ჰარმონიის დაცინვის და პაროდირების უხვ ელემენტებს შეიცავს. ჩვენ ხომ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა ადამიანის სწრაფი ან ხანგრძლივი მკვლელობაც კი, დიდი ხანია, სერიოზული საქმე აღარ არის, ხუმრობა უფროა.

დიუშანი მახსენდება: ადამიანები ყოველ წელს ახალ რეკორდს რომ ამყარებენ, მაგალითად, სირბილში. ვიღაც 30 წამში ფარავს ამ მანძილს, მერე ვიღაც აჯობებს და 29 წამში ფარავს, მომდევნო წელს მჯობზე მჯობი გამოხტება და 28 წამში დაფარავს ამ მანძილს. ბოლოს კი ვიღაც ყველა რეკორდს მოხსნის და ამ ას მეტრს 0 წამში დაფარავს.

როგორ ფიქრობ, გუშინ (სწორედ შენს მიერ ნაგულისხმევი აზრით) დაწერილი ლექსების, რომანების და ფილოსოფიური ტრაქტატების (რომლებიც ასევე რომანები ან პოემებია და მეტი არაფერი) "გასუფთავება" და მათი, როგორც სწორედ დღეს დაწერილის, წაკითხვა დროის ფლანგვაა? ჩვენამდე რომელიმე ტექსტმა რომ მოაღწიოს, ამას ხომ დრო სჭირდება?

დათო
20.02.2003. მიუნსტერი

[23.02.2003]

თავიდან მოვიყვან ციტატას შენი წერილიდან:

"იქ, სადაც შემოქმედებითი საწყისი ცოცხლობს, შინაარსი ყოველთვის საინტერესოა და პირწმინდად პიროვნულ სწრაფვას ჰარმონიისკენ ან ასეთ სწრაფვაზე უარის თქმას არაარსებითი თამაშის ხასიათი აქვს..."

აქ არის საინტერესო ნიუანსი, და თუ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ

ალექს ჩიღვინაძე, შოთა დიღმელაშვილი,
დათო ბახბაქაძე

ახა ხეალუხად

ალექს ჩიღვინაძე, დათო ბარბაქაძე

Chat -კომუნიკაციებიდან

(05.09.07 – 03.07.2009)

05.09.07
ციურიხი-თბილისი. 22:26 – 22:53

- ღამე მშვიდობისა, დათო!
- ჰაი!
- როგორ ხართ?
- რა გვიჭირს. მომისმინე, skype-ში თუ ხარ ჩართული?
- არა, სამწუხაროდ. სად ხართ ამჯერად?
- კაი. ახლა შვეიცარიაში ვარ. წიგნი გამოვიდა?
- დიახ, თვის ბოლოს პრეზენტაცია გვექნება.
- გილოცავ. შენს რაზმსაც გულით მიულოცე ჩემი სახელით.
- დიდი მადლობა. როდის ჩამოდიხართ? და, საერთოდ, როგორ მიდის "საქმეები"?
- ჯერ არ ვიცი. გერმანიაში ჩემი წიგნი გამოდის ერთ თვეში და პრეზენტაციაში უნდა მივიღო მონაწილეობა. ავსტრიული პოეზიის მომავალი ტომებისთვისაც მასალებია შესაგროვებელი და დასამუშავებელი.
- ჰეი, მაგარია... გილოცავთ...
- "საქმეები" მე დღემდე არასდროს მქონია, კაცმა რომ თქვას. არც გერმანიაში და არც საქართველოში.
- წიგნი თქვენი გერმანულად... იმიტომ არის ბრჭყალებში.
- ჰო, გერმანულად. გმადლობ!
- არ ვიცი, რა გითხრათ... მინდოდა წერილის მოწერა თქვენთვის, მაგრამ რამდენჯერაც დავაპირე, იმდენჯერ არ გამომივიდა. ის, რისი თქმაც მინდოდა, თითქოს ჩემთან რჩებოდა... ნუ, მოკლედ... მიხარია, რომ გიცნობთ...
- Danke, danke! თავს საქართველოს გარეთ ყველგან კარგად ვგრძნობ. შეიძლება იმიტომ, რომ საქართველო მართლა სიგიჟემდე მიყვარს და ყველაფერი გულთან მიმაქვს, რაც მაგ საღორეში ხდება. ყველაზე მტკივნეული კი მაინც ის არის, რომ მანდ ყოველთვის საღორე იქნება.
- იმედია, მეც ვიგრძნობ იგივეს რამდენიმე ხანში...

ქეთო ნინიძე, დათო ბახბაქაძე

ფრაგმენტები ლიტერატურული კომუნიკაციიდან
(27.11.2007-16.07.2008)

27.11.2007

(...) “სათქმელისგან დისტანცირებას ვერ ახდენო"?? ეს ვერ გავიგე, იმიტომ, რომ შეიძლება ფორმისგან კი... მაგრამ სათქმელისგან, მგონი, ვახდენ.
მაგრამ შენიშვნები მიყვარს და ყოველთვის მოვისმენ სიამოვნებით...
ქეთო

27.11.2007

(...) რაც შეეხება ჩვენი ლიტერატურული საუბრის გაგრძელებას, გმადლობ ნდობისთვის. რაკი, როგორც ამბობ, შენიშვნები გიყვარს, ვეცდები ჩემი შენიშვნები შენი საყვარელი შენიშვნების კოლექციაში არ მოხვდეს. სათქმელთან დისტანცირების შეუძლებლობაში ვიგულისხმე ახალბედა ლიტერატორებში (განსაკუთრებით სწორედ პოეზიაში) გავრცელებული ფსიქოლოგიური სიტუაცია, როცა სათქმელი ემოციურად იმდენად გულწრფელი და ნამდვილია, რომ თვით ეს გულწრფელობა გადაიქცევა ხოლმე სათქმელის მნიშვნელოვნების გარანტად. მე შენთან სწორედ ასეთი აღრევის გაბატონების საშიშროებას გავუსვი ხაზი, რაკი ჩავთვალე, რომ სწორედ ეს არის შენთვის პრობლემური საკითხი. სულ ეს იყო. სათქმელი, რომლის გამოთქმა ჩვეულებრივ საკომუნიკაციო შრეზე მნიშვნელოვანია, პოეზიაში შეიძლება მოკლებული იყოს ასეთ მნიშვნელობას. ეს განსაკუთრებით ეხება სოციალური ფონით გამოწვეულ, ლოკალურ კონტექსტში აქტუალურ პრობლემებს, რომლებიც უბრალოდ გვთრგუნავს და ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს. ამ დროს პრობლემის აქტუალობას ვეჯაჭვებით და გვგონია, რომ ჩვენი გულწრფელი რეაქციები სათქმელის განზოგადებასაც ხელს უწყობს. არადა, სწორედ რომ პირიქით! რაც დრო გადის, ჩვენს მიერ "აღმოჩენილი" ამა თუ იმ პრობლემის იმდენ ახალ პრობლემურ მხარეებს ვხედავთ ხოლმე, რომ რაღაც დროის მერე ჩვენვე გვეღიმება ჩვენს მიამიტობაზე. ვაზუსტებ: ეს განსაკუთრებით სოციალური კონტექსტის მხატვრული თემატიზების დროს ხდება. ამიტომ არის, რომ ძლიერ პოეტებთან სოციალურს ყოველთვის იქვემდებარებს მეტაფიზიკური. შენი სათქმელი ჯერჯერობით იმით შემოიფარგლება, რომ მკითხველმა მკაფიოდ დაინახოს, რა მოგწონს და რა არ მოგწონს. შენი კრიტიკა სწორხაზოვანია, ეხება იგი მოსაწყენ ადამიანებს თუ სრულიად შემთხვევით გამვლელებს, ეს კრიტიკა წინ წამოწევს შენს

შენიშვნები

დ/დ
პირველი გამოცემა: თბილისი, 2006 (თვითგამოცემა);
მეორე გამოცემა: გამომცემლობა სიესტა. თბილისი, 2007.

არა რეალურად
პირველი გამოცემა: თბილისი, 2010 (თვითგამოცემა).

გაგრძელება
პირველი გამოცემა: თბილისი, 2012 (თვითგამოცემა).

შინაარსი

დ/დ	5
არა რეალურად	113
გაგრძელება	151
შენიშვნები	191

Dato Barbakadse
Ergebnisse
Band V

Tbilissi
2014

წიგნში წარმოდგენილი ყველა ტექსტის კორექტორია დათო ბარბაქაძე. მანვე დააკაბადონა და მოამზადა წიგნი გამოსაცემად. ავტორს ეკუთვნის, აგრეთვე, საგამომცემლო კონცეფცია და დიზაინი.

წიგნის ერთი ეგზემპლარის ბეჭდვის და ყდაში ჩასმის ღირებულებამ შეადგინა 17,70 ლარი.